



ჰოის კეროლ ოუტსი

შავი წყალი

ამერიკაში | დიდი

ჯოის კეროლ ოუტსი
შავი წყალი

Joyce Carol Oates
BLACK WATER

მთარგმნელი მია გოგოლაძე
რედაქტორი ირმა ტაველიძე

სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© The Ontario Review, Inc., 1992 by arrangement with John Hawkins & Associates, Inc., New York

© Photo by Marion Ettlinger
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2233-3789

ISBN 978-9941-11-461-8

www.diogene.ge

ჯოის კეროლ ოუტსზე (1938) საუბრისას, პირველ რიგში, ამ მწერლის შემოქმედებით ნაყოფიერებას ახსენებენ ხოლმე. თუმცა ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა წიგნების ხარისხი თითქმის არასდროს არის მათი რაოდენობის უკუპროპორციული – ორმოცდაათზე მეტი რომანის, მოთხრობებისა და ესეების ათობით კრებულის ავტორის ლიტერატურული ჯილდოების ნუსხა, მისი ბიბლიოგრაფიის მსგავსად, გრძელი და შთამბეჭდავია.

რომანი „შავი წყალი“ 1992 წელს გამოქვეყნდა. მომდევნო წელს ამ წიგნისთვის ოუტსი პულიცერის პრემიაზე წარადგინეს. ამ მცირე რომანში დატრიალებული ამბავი ე. წ. „ჩაპაკვიდიკის ინციდენტს“ ეხმიანება – 1969 წელს მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას, როცა კუნძულ ჩაპაკვიდიკთან სენატორ ტედ კენედის მანქანა წყალში გადავარდა, სენატორის თანამგზავრი ახალგაზრდა ქალი კი დაიღუპა.

ედვინება ყველა კელის

პირველი ნაწილი

სენატორი ავტომობილების გაქირავებიდან გამოყვანილ „ტოიოტას“ ისეთი სიჩქარით მიაქროლებდა მოუასფალტებელ, უსახელო შარაგზაზე, რომ მოხვევისას ბორბლები წიოდნენ და ერთ ადგილას ტრიალებდნენ. შემდეგ მანქანა მოცურდა და გზიდან გადავიდა, შავ, სწრაფად მდინარე ნყალში გადავარდა და, მგზავრისკენ დაგვერდებული, სწრაფად დაეშვა ფსკერისკენ.

მგონი, ვკვდები... მგონი, მართლა ვკვდები...

მთხი ივლისის საღამო იყო. გრეილინგ-აილენდზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ, ყველგან ნვეულებები იმართებოდა. პლაჟისკენ მიმავალ ვინრო, ქვიშიან გზებზე ავტომობილები ჩამსკრივებულიყვნენ. მოგვიანებით, როცა კარგად დაბნელდება, ცას ფეიერვერკები გაანათებს – იფეთქებს და თავს ზემოთ ნაირფრად გარწყინდება, როგორც ომის ტელერეპორტაჟებში სპარსეთის ყურიდან.

უკვე კუნძულის მიყრუებულ, უკაცრიელ უბანში იყვნენ, ალბათ გზა აერიათ. კელი პირზე მომდგარ სიტყვებს ყლაპავდა და გამბედაობას იკრებდა, რომ ეთქვა, *დავიკარგეთო*.

პრეზერვატივი, უკვე რა ხანია, გამოუყენებელი ეგდო ჩანთაში. ჯერ ტყავის ჩანთით დაატარებდა, ახლა – „ლორა ეშლის“ ყვავილის ნაცშიანი, ლამაზი საზაფხულო ჩანთით. ასეთივე შეკვრა ედო ძველ, ნითელი ტყავით განწყობილ ჩალის ჩანთაში, რომელიც იმდენი ხანი ატარა, რომ ბოლოს ნაწილებად დაეშალა. კოხტად და აკურატულად შეფუთულ პრეზერვატივს აფთიაქის უბინო სურნელი ასდიოდა და ჩანთაში ცოტა ადგილს იკავებდა. მთელი ამ თვეების განმავლობაში ხელი

არ უხლია მისთვის, ჩანთიდან არ ამოულია, არავისთვის გაუნ-
ვლია, არავისთვის შეუთავაზებია მისი გამოყენება ან ასეთ
შესაძლებლობაზე დაფიქრება – არც მეგობრისთვის, არც თა-
ნამშრომლისთვის ან ახლად გაცნობილი მამაკაცისთვის.

ახლა უკვე გრეილინგ-აილენდის ჭანჭრობში იყვნენ, მეი-
ნის შტატის ჭაობებში, ბუთბეი-ჰარბორის ჩრდილოეთით, საი-
დანაც კუნძულამდე ბორანი ოც წუთში აღწევდა. მხიარულად
ლაზლანდარობდნენ და გულიანად იცინოდნენ, როგორც ძვე-
ლი მეგობრები, რომლებიც უბრალოდ იშვიათად ხვდებიან
ერთმანეთს. სენატორს ცალი ხელი საჭეზე ედო, მეორეში
კი არყითა და ტონიკით სავსე პლასტმასის ჭიქა ეკავა. კე-
ლი ფრთხილად უჭერდა სენატორს ჭიქიან ხელს, რომ სითხე
არ გადმოღვროდა. და უცებ, მოულოდნელად, რალაც მოხდა,
როგორც კინოში ხდება ხოლმე – როცა კადრი ხტის, თით-
ქოს სლოკინი აუვარდაო, შემდეგ კი ეკრანიდან გამოსახულე-
ბა ქრება. ისე უცებ მოხდა, რომ კელი ვერც მიხვდა, როგორ
გამოეცალა ბორბლებქვეშ გზა გაქანებულ ავტომობილს და
როგორ შემოევლო სიბნელე საქარე მინას, როცა შავ წყალში
აღმოჩნდნენ... შავ წყალში იძირებოდნენ და სიცოცხლისთვის
იბრძოდნენ, ამოსვლას ლამობდნენ, ბლანტი ჭანჭრობი კი გა-
ცოცხლებული აჩრდილივით მიიწევდა მათ ჩასაყლაპავად.

მგონი, ვკვდები... მგონი, მართლა ვკვდები...

ბ აფი განაწყენდა, ან უბრალოდ თავი მოაჩვენა. უყვარს ასეთი სცენების გათამაშება – ბაფის ვერაფერს გაუგებ. კელი კელერს კი მხოლოდ ის უთხრა, რატომ ახლა, რატომ არ შეიძლება მოგვიანებით წახვიდეო. შეცბუნებულმა კელიმ რალაც გაუგებარი ნაიბუტბუტა, ვერ გაბედა ეთქვა, უნდა წავიდე იმიტომ, რომ მას ასე სურს, დაჟინებით მოითხოვსო.

კელის გამბედაობა არ ეყო, ბაფისთვის ეთქვა, ახლა თუ არ გავაკეთებ, რასაც მთხოვს, ყველაფერი დამთავრდება, თვითონაც ხომ იციო.